ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1040968

ნომერი: AR1182997

თარიღი : 08.12.2013

გაცემის თარიღი : 24.12.2013

გაცნობის თარიღი : 08.02.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნავთისხევისა და საქარხნო რაიონის კავშირგაბმულობის სამინისტროს, საწარმოს შორის არსებული ტერიტორია, (ნაკვ. 01/078) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ბერიძე პ/ნ 01025007896
- თბილისი ვაშლიჯვარი კორ. 2 ბ. 20

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

2013 წლის 08 დეკემბერს #AR1182997 განცხადებით ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურს მომართა მოქალაქე ლევან ბერიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთისხევისა და საქარხნო რაიონის კავშირგაბმულობის სამინისტროს საწარმოს შორის არსებულ ტერიტორიაზე, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.19.30.001.099 სამეურნეო საწარმოო ობიექტის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.

სამსახურმა სარეკრეაციო ზონა 2–ში (რზ–2) სამეურნეო ობიექტის განთავები მიზნით სპეციალური ზონალური ნებართვის მინიჭების საკითხი წარადგინა ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე განსახილველად, «ზონალური» კომისიის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა წარმოდგენილ ტერიტორიაზე სამეურნეო საწარმოო დანიშნულების ობიექტის განთავსების მიზნით სპეციალური ზონალური ნებართვის და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემაზე. “ზონალური კომისიის” 2013

წლის 10 დეკემბრის სხდომის ოქმი #48, პუნქტი 6-ის რეკომენდაციის და სამსახურის გადაწყვეტილების შესაბამისად,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქალაქე ლევან ბერიძეს ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთისხევისა და საქარხნო რაიონის კავშირგაბმულობის სამინისტროს საწარმოს შორის არსებულ ტერიტორიაზე, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.19.30.001.099 სამეურნეო საწარმოო დანიშნულების ობიექტის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.